

ახალქალაქში სამკერვალო სალონი გაიხსნა

არმენური კაზარიანი ახალგაზრდა მკერავი ქალია, რომელიც ახალქალაქში ცხოვრობს და ადგილობრივებს თავის მომსახურებას წლების განმავლობაში სახლიდან სთავაზობდა. სამკერვალო სალონის გახსნაზე ყოველთვის ფიქრობდა, მაგრამ საჭირო ფინანსები არ ჰქონდა. მუნიციპალიტეტში საგრანტო კონკურსის გამოცხადების თაობაზე ახლობლებისგან გაიგო. ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG)-ის დახმარებით საპროექტო წინადადება მოამზადა, რომელიც შენობის სარემონტო სამუშაოებს და სალონის საკერავი მანქანებითა და სხვა საჭირო ნივთებით აღჭურვას ითვალისწინებდა.

დაფინანსების მიღების შემდეგ, პროექტში წინასწარ გაწერილი ყველა აქტივობა განახორციელა და დღეს არმენური ახალქალაქში მდებარე ერთადერთი სამკერვალო სალონის მფლობელია. ირგვლივ საკუთარი საქმის პროფესიონალები შემოიკრიბა და მოსახლეობას სხვადასხვა სახის მომსახურებას უწევს. მასთან ხშირად მიდიან ახალქალაქელი ქალები ღამაში კაბების, ქვედაბოლოების თუ ბლუზების შესაკერად ან ძველი ტანსაცმლის გადასაკეთებლად.



პროექტის შედეგად დასაქმდა: 4 ადგილობრივი
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 14,913.46 ლარი
ევროკავშირის დაფინანსება: 9,350.85 ლარი
თანადაფინანსება: 5,562.61 ლარი



სალონში თავად არმენიუს გარდა 3 ადგილობრივია დასაქმებული, ერთ-ერთი მათგანი არმენიუს მამაა, რომელიც გამოცდილი მკერავია და მას მუნიციპალიტეტში კარგად იცნობენ.

“მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველაფერს ვკერავთ და მომხმარებელიც კმაყოფილია ჩვენი მომსახურებით, სამომავლოდ მაინც ვგეგმავთ ახალი სერვისების დანერგვას. მალე ავიყვანთ დიზაინერს, შევქმნით თანამედროვე მოდელებს და მომხმარებელს შესაძლოა მზა ტანსაცმელიც შევთავაზოთ. ახალი საკერავი მანქანები ძალიან მაღალი ხარისხით გამოირჩევიან, სხვადასხვა სირთულის ოპერაციების განხორციელების საშუალებას გვაძლევს, რაც შეკერილი ტანსაცმლის ხარისხზეც აისახება”, - აღნიშნავს ახალგაზრდა მკერავი.





სამკერვალო სალონის მუშაობა პანდემიის პერიოდში შეჩერდა. მხოლოდ პირბადეების შეკერვის უფლება ჰქონდათ. პირბადეებზე მოთხოვნა კი იმდენად იყო გაზრდილი, რომ მას მოსახლეობა ავთიაქებში ვედარ ყიდულობდა. არმენიუ და თავისი გუნდი ამ პერიოდში თავდაუზოგავად მუშაობდნენ და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნას აკმაყოფილებდნენ.

“პანდემიის პერიოდში სამკერვალო სალონების ძირითადი საქმიანობა შეჩერდა. მხოლოდ პირბადეებს ვკერავდით. ბევრი ადამიანია ახალქალაქში, ვისაც ეკონომიკურად უჭირს. ამიტომ გადავწყვიტეთ, პირბადის გარეშე არავინ დაგვეტოვებინა და შეჭირვებულ ადამიანებს უფასოდ დავურიგეთ.

დღესდღეობით მომხმარებელთა რიცხვმა იმატა, ხალხი თანდათანობით იგებს სამკერვალო სალონის შესახებ, ახლობლებსა და მეგობრებში გვიწევს რეკომენდაციას და უკვე კლიენტები მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებიდანაც მოდიან. სალონის ადგილმდებარეობაც ხელს გვიწყობს. ის ადგილობრივ ბაზართან და ავტოსადგურთან ახლოსაა, რაც სოფლის მოსახლეობისათვის ხელსაყრელია”, - ამბობს არმენიუ კაზარიანი. სამკერვალო სალონში მუშაობით თანამშრომლებიც კმაყოფილები არიან და მაღლიერებას გამოხატავენ ევროკავშირის, GIPA-სა და LAG-ის მიმართ, რომელთა მხარდაჭერითაც შესაძლებელი გახდა დასაქმებულიყვნენ და ეკეთებინათ საყვარელი საქმე.

ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირის საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხედურობა ახალქალაქში პროექტის ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პაჩნიოხები ახიან მეხსი ქოხფის, ELVA საზოგადოებრივი ჩაბრუნება და დასავლეთ კოხკის განვითარების პაჩნიოხობა.

ევროკავშირის მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან საერთო ბიუჯეტით 179,5 მილიონი ევრო. ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღარიბის დაძვება. პროგრამის პიხვედი ფაზის პიოტიგევი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ხედურობა, ხოლო მეოხე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.enpard.ge.